თუ პრემიერ-მინისტრი გარდაიცვალა... #სქემა N2

პრემიერ-მინისტრის გარდაცვალება

პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების ფაქტი მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე იწვევს მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

პრეზიდენტის ვალდებულება

პრეზიდენტი, პარლამენტის მიერ ახალი მთავრობის შექმნამდე, მთარობის მოვალეობის შესრულებას აკისრებს „ძველ“ მთავრობას. პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ამ შემთხვევაში ასრულებს ვიცე-პრემიერი

პრეზიდენტი

პრეზიდენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის ვადაში წამოაყენებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას

პრემიერობის კანდიდატი

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას ნდობის მისაღებად.

პარლამენტი

პარლამენტიმა მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან 7 დღის ვადაში განიხილა და კენჭი უყარა მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს, პარლამენტმა ნდობა ვერ/არ გამოუცხადა მთავრობას

მთავრობის შემადგენლობის ხელახალი წარდგენა

მთავრობის შემადგენლობის პირველი წარდგენიდან 30 დღის ვადაში განმეორებით ეყრება კენჭი იგივე ან განახლებულ შემადგენლობის მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს. პარლამენტმა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა მთავრობას

პრემიერ-მინისტრის /მთავრობის წევრების დანიშვნა

 პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადებიდან პრეზიდენტი ორი დღის ვადაში ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, პრემიერ-მინისტრი კი ორი დღის ვადაში მთავრობის წევრებს. თუ პრეზიდენტი აღნიშნულ ვადაში არ გამოსცემს სამართლებრივ აქტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე, პრემიერ-მინისტრი დანიშნულად ჩაითვლება